

“...კრიტიკოსთა ამ ჯგუფის ტიპური წარმომადგენელია, რაიბ უცნაურიც. არ უნდა იყოს  
ეს, ბერძენის ოფიცირი „დეიტზე დიკლომატიო-პოლიტიკო კოკესკონდენც“. ეს უშრალი ზირდა-  
ვირ ამოვს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პრემიტი წარმომადგენს ცარიელ დაპირებას, მო-  
ტუებას, „პოტიოპინის სოფელს“. იგი უყოყმანოდ აცხადებს, რომ სსრ კავშირი არ არის სახე-  
ლმფიფო, რომ სსრ კავშირი „სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული  
ცნება...”


ნ. ბ. სვალინის მოხსენებიდან საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო VIII ყრილობაზე, 1936  
წლის 25 ნოემბერს.



ნ. ბ. ბერძენიშვილის და გ. გოგოლაძის  
ჰიტლერის ნაპირები ტრიზონიაში  
მოცუყუდით, ჰერ, ეს ზუსტად განსაზღვრული გეოგრაფიული ცნება ზუსტად ვერ განვსაზღვრეთ!

# ნ ი ა ნ ბ ი





1.



2.



3.

საბაკაჯოს რაიონის სოფელ ანთოკის ცხაკიას სახელობის კოლმეურნოების თანამდებობაზე ახს. ი. ქაკსაულიძის

პატივცემულო იოსებ! მიიღეთ ჩვენგან გულწრფელი სადამი და მოკითხვა. მოდიოთ, გენახეთო, ნატრობოთ თურმე, და ჩვენც გვინდა ეს სურვილი შეგისრულდეს. ან კი სად წავადოთ უკეთეს ადგილზე. კურორტზე ხართ, ნამდვილად კურორტზე, ჰაერი არ გაკვიათ და დასვენება. მაღლობზე კახური ქუდივით დასკუპებულია თქვენი კოლმეურნეობის კანტორის შენობა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთ-ერთი კოლმეურნისაგან თვეში 60 მანეთად დაქირავებული ქოხი.

ზოგიერთები გისაყვედურებენ: რატომ კანტორისათვის რიგიან შენობას არ ააგებთო, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ დაარწმუნოთ ისინი, რომ ამისთვის საჭიროა ფული, მასადა და თავის შეწუხება. ამასთან, ვინც არ იცის, უნდა გაიგოს, რომ მიწური ქოხის იატაკს ნავთიანი ტილოთი დასუფთავება არ სჭირდება. რაც შეეხება ჩამტვრეულ ფანჯრებს, შეიძლება ეს უკეთესიც იყოს, სუფთა ჰაერი არ მოგაკვდებათ.

სკამების უქონლობასაც, ცხადია, თავისი გამართლება აქვს: მომსდევლები, რომლებიც ხშირად გირივიან მარცვლეულის, ფულის და სხვათა მიუღებლობაზე, დიდხანს ფეხზე დამდგარი ვერ გაჩერდებიან, დაიღვლიან და მეტი რა გზა ექნებათ, ნავდენ, თქვენ კი გადარჩებით საყვედურებს.

— კანტორის ირგვლივ ბეძვი და ბარდ-ეკადი რომ არის მოდებული, სირცხვილია, რატომ გამწვანებაზე არ ზრუნავთო, მიგითითებენ. ის კი არ იციან, რომ წელს თქვენმა ვენახებმაც ვერაფერი ხეირი მოგვცათ: თვითვე ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 36 ცენტნერის ნაცვლად 10 ცენტნერი ყურძენი მიიღეთ, ხეხილმა კი სულ არ მოიხსა. თქვენ შეგიძლიათ თავი ინუგეშოთ და სხვებიც ანუგეშოთ, რომ როცა მოვდა უკეთესი იქნება, მოსავალიც მეტი იქნება.

სიმინდი, პური, მზესუმზირა, ფეტვი, ბოსტნეული, რამდენი რა არ ხარობს თქვენს მიწა-წყარზე. იხვენება და ითესება ყოველწლიურად ასეული ჰექტარი საუკეთესო მიწა. შეგიძლია ამ ცნობებით რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილება ყოველთვის კმაყოფილი გყავდეს. იმას კი ნუ გაუმხედ, რომ მოსავლიანობის გეგმები ერთი მესამედითაც არ სრულდება. თუმცა თქვენ პასუხს მაინც ვერავინ მოგთხოვთ, რამდენი ძირი სიმინდი ან მზესუმზირა სისუსტეს გამოიჩინეს და თავს შეირცხვენს მცირე მოსავლის მოცემით, იმდენზე რომ შენ აგო პასუხი სად წავა?! რაც შეეხება წლების მანძილზე მოსავლისა და ფულის შრომაღლეებზე გაუნაწილებლობას, ამაშიც ადვილია თავის მართლება: რა გქონდა, ან ვინ რა მოგცა, რომ გაგენაწილებინა!

— მეფრინველეობაში განსაკუთრებით ცუდად არის საქმეო, გისაყვედურებენ. ადბათ არ იციან, რომ ფერმას გამგე ჰყავს, ამხ. ნ. გოცირიძე, რომელიც თქვენზე ნაკლებად არ არის პასუხისმგებელი საქმის ჩამორჩენისათვის. ნუთუ არ უნდა გაითვალისწინონ, რომ 300 ფრთა ქათმის ნაცვლად 120 გყავთ, მაგრამ ის 120 ფრთა ქათამიც რომ დაავადდა და ახლა შენობიანათ რომ უპირებო დაწვას?! კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ გეგმა რომ შეგესრულებინათ და სამასივე ფრთა ქათამი დაავადებულიყო, უფრო ცუდი არ იქნებოდა?!

შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავლამა 39 ათას მანეთს მიალწია, წელს გეგმით 58 ათასი მანეთია გათვალისწინებული, მაგრამ თუ ფაქტიურად 28 ათასი მანეთი იქნება, განა ესეც შელავათი არ არის? თქვენს ბუხჰალტერს და სარევიზიო კომისიას ნაკლები სამუშაო ექნება. სულ ერთია, სარევიზიო კომისია მაინც არ იწუხებს თავს, წელს მხოლოდ ერთხელ გესტუმრათ.

ერთი სიტყვით, კოლმეურნეობის ამ „წარმატებებით“ თქვენ შეგიძლიათ თავი კმაყოფილად იგრძნოთ, მაგრამ თუ რაიონის ხელმძღვანელობა გაიხსენებს, რომ საჭ. ვ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „შეუწყნარებლად ჩაითვალოს ისეთი მდგომარეობა, როცა თვითვე რაიონში არიან ცადკეული კოლმეურნეობები, რომლებიც სისტემატურად ჩამორჩებიან გეგმების შესრულებაში, და დაევალოს რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გაერკვნენ ამ კოლმეურნეობათა ჩამორჩენის მიზეზებში და დასახონ მოწინავე კოლმეურნეობათა რიცხვში მათი ჩაყენების კონკრეტული ღონისძიებანი“ — თქვენც რა გეთქმით! მანამ კი ჩვენ გვინდა მოგავლოთ ამ თქვენს უთავბოლო მუშაობაზე და იმედი გვაქვს, რომ ამით სათანადო ამხანაგებიც მოგიგონებენ რაიონის ხელმძღვანელობიდან.

დავითები მარად თქვენ

ნიანუი



# „მადლობა“

## საბრძოლო დასახურებისათვის

(ეხიზი)


თმაგაწეწილი, ჩერებში გახვეული მიაბიჯებს მაქს ტომსონი ავენიუზე და ცხენივით სთვლემს ფეხზე. იგი ფეხშიშველია, თავისი ფეხსაცმელები ვიღაც მათხოვარს გაუცვალა ნატეხ პურში. მტვერში ამოსვრილ მხრებზე ზოლებად აჩნია პოლისმენის ჯოხები, რომელიც მან ბალის კუთხეში დაძინებისათვის მიიღო. ეზლაც უნდა ძილი. დიახ, საშინლად უნდა, მაგრამ... მან ჯიბეზე მოისვა ხელი, რაღაც მაგარი იკრძნო ხელქვეშ, თვალეები გაუბრწყინდა და ისევ ჩაუქრა. უზარმაზარი ელნათურის წინ შესდგა, პატარა ქალაღი ამოიღო ჯიბიდან, გაშალა და თვალეებით უაზროდ დააცქერდა ნაწერს. მან ზეპირად იცოდა ნაბეჭდის ტექსტი: „გუშინ ვაშინგტონის ხიდიდან წყალში გადავარდა და თავი დაიხრჩო ლეიტენანტ მაქს ტომსონის (რომელიც ამჟამად ფილიპინებზე იბრძვის) მეუღლემ, მისის ევა ტომსონმა, დასტოვა რა უპატრონოდ ოთხი ბავშვი“. თარიღი: ათას ცხრაას ორმოცდასამი წლის თხუთმეტი აგვისტო. მაქსის წინ პოლისმენი აიმართა, „გაიარეთ, არ შეიძლება გაჩერება!“ შეუყვირა

# ირანული საბუთი

ნახ. ი. ქოქიაშვილისა


ირანის შაჰი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. ამერიკის მთავრობას სურს ჩრდილო-ატლანტიკის პაქტში ჩააბას ირანი, რომელმაც სრულიად არ არის ჩრდილო-ატლანტიკის ქვეყანა.

გაზეთებიდან



პოლისმენმა. ტომსონმა მიმართულება შესცვალა. მისგან სულ ოციოდე მეტრის მანძილზე დასაძინებელი ბინაა—კედელში გამაჰქრილი სანაგვე ყუთი. მაგრამ სანაგვე ყუთის პირდაპირ დამის მორიგე პოლისმენი ყვინთავს. ის კედელს აეკრა, სუნთქვა შესწყვიტა და სანაგვე ყუთს მიუახლოვდა. სახურავი ასწია, ოდნავ დაიხარა და შეხტა შიგ. ხმაურზე პოლისმენი გამოერკვა, დღეს ექვსი ნოემბერია, ნამდვილად დემონსტრაციისათვის მზადებაა,— გაიფიქრა მან და საპოლიციო ავტომანქანის გამოსაძახებელ ლილს მისწვდა. გონდაკარგული მათხოვარი ტომსონი მანქანაზე შეაგდეს. მათხოვრის გვერდით ოთხი პოლისმენი იჯდა, თავთან კი ადამიანებზე მონადირე ძაღლი. გაჩხრეკისას მას ჯიბეში უპოვეს ფეხსაცმლის რეზინის ნახევი, შავ ჩარჩოში ჩასმული ექვსი წლის წინანდელი სენსაციური განცხადება ვიღაც ქალის თავის დახრჩობის შესახებ და საბუთი, სადაც წითელი ასოებით ეწერა: „გამოეცხადოს ამერიკელი ხალხის მადლობა ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილს, ლეიტენანტ მაქს ტომსონს, სამშობლოსათვის თავდადების შეუღარებელი მაგალითებისათვის“... და ახლავარდა ოფიცრის სურათი, რომელიც ოდნავდა ჰგავდა მის ახლანდელ ქალარა პატრონს. პოლისმენები ჩაფიქრდნენ. შემდეგ რაღაც გადასწყვიტეს და გადაწყვეტილების შესრულება დაიწყეს. გაქანებული მანქანა შუა ხილზე წამით შესდგა და შემდეგ მთელი სისწრაფით გავარდა წინ. მათხოვარი ინერციისაგან ასფალტზე გადმოეშვა. „გარბის“—გაუელვა პოლიციის ძაღლს, რკალი მოხაზა ჰაერში და ძირს დაცემამდე სწვდა ყელში მსხვერპლს. მაქსი სისხლში სცურავდა, ძაღლი კი თავთან უდგა და არ აძლევდა ზეზე წამოწევის საშუალებას. მან არ იცოდა, რომ მსხვერპლს უკვე აღარ შეეძლო ადგომა.

ნ. ჩხეიკა



— ვინ აშბობს, ძია ხემ, რომ მე ჩრდილო-ატლანტიკის ქვეყანა არა ვარ, შემხედონ ერთი, ატლანტის ოკეანეზე როგორ დავფრინავ!





ერთ ხმაზე რომ ვახძიან,  
 როდი არის ვახკვირი:  
 ფონ პაპენი რასაც მოსტყვამს,  
 ნადირ ნადიც მას ვაჰკვირის.

სურთ სისხლის ზღვა დადგეს ისევ,  
 ოქროს ქაფის მოსახდელი...  
 ამ სახედრის ყურებს იქით  
 ძია სემის მოჩანს ხელი.

# მეუბნა

— მორჩა, ბატონო... აწი მოსვენე და იყავი შენთვის. შენი ცოლი თუ ჭაჭყანაა და მოსვენებას არ გაძლევს, ახლა მიხვდები. ახ, ნეტა ერთი ისეთი ახტაჯანა შეგვხვდებოდეს, რომ ჩემი თავი მოგანატროს...

— ელო, გენაცვალე, ისევ დაიწყე?

— დაიწყე კი არა, უკვე დავამთავრე. მოსამართლესთან ვიყავი, მოველაპარაკე, გაგვყრის. — და ცოლმა ჩანთიდან ფანქრით დაწერილი განცხადება ამოიღო. — რა ღმერთი გამიწყრა, რომ მეღნით არ დაფურე. დღესვე გავაფორმებდი...

— ელონორა, ელო, ელიკო, გენაცვალე, სულ შენი ქაქანი უნდა იყოს?! მეც ხომ ნერვები მაქვს, ჩემს მდგომარეობაში რატომ არასოდეს არ შედიხარ!

— შენ შედიხარ ჩემს მდგომარეობაში?

— ელო, შენ ავად ხარ, გენაცვალე, დაიხვენე, დაწყნარდი, და მერე მოვილაპარაკოთ.

— მე შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს.

— სულ აღარაფერი?

— მხოლოდ ერთი საკითხი: განცხადების ფულს განქორწინების შესახებ შენ გადიხი. გაზეთში ხომ უნდა მივცეთ განცხადება.

— უსინდისო!

— ამდენი ხანია უსინდისოს ქმარი ხარ და ახლა მიხვდი?

— გვიან გამოფერკვიე.

— მოლაღატვე, შენ დასეირნობ სხვებთან და უსინდისოს მე შეძახი?

— თვალიც მომიტხრია? — მიახალა მოთმინებიდან გამოსულმა ქმარმა და ის-ის იყო ოთახიდან აივანზე გასვლას აპირებდა, რომ მათმა საერთო ნაცნობმა თიკომ კარებში სტუმრის ნაბიჯებით შემოსიერნა.

— შეიძლება? — იკითხა სტუმარმა. მაგრამ თქვენც კარგად მიხვდებით, რომ პასუხის გასაცემად არც ერთს არ ეცალა.

— კიდევ აურიეთ?

— ჩვენ არაფერს არ ვურევთ! — აქაქანდა ელო.

— ბოდიში. ცუდი ხომ არაფერი შეიტყეთ? — კვლავ იკითხა სტუმარმა.

— ეჰ, მეტი რაღა უნდა შევიტყო! — ნაწილ-ნაწილ ამოლაგა სიტყვები ქმარმა.

— მიშა, კრინტი! ჩემი ოჯახური საქმეები სხვას არ ენება!

— ელო, რა დავემართა, გოგო, სკოლაშივე ასეთი ნერვიული იყავი. — დაუყვავა სტუმარმა.

— ვინ იყო ნერვიული, ვინ! ვინ იყო ნერვიული!... ასე უტრუებთ ჩემ ქმარს გულს ჩემზე გაანჩხლდა ელო.

— მეც სულ მაგაზე მიფუთითებ, — გადარბაისლდა ქმარი, — ვეხვეწები, რომ ნერვები დაიმშვიდოს, მაგრამ საქმეში ხარ?

— ასეც არ იქნება, ზოგი თქვენც უნდა დაუთმოთ. — შემობრუნდა სტუმარი. — რა უბედურებაა, ათასი ნაცნობი მყავს და თქვენისთანა ცოლ-ქმარი ჯერ არ მინახავს!

— დაფუთმო... მეტი რაღა დაფუთმო, თავზე ხომ არ დავისვამ. ასეა, მეგობრები ატუტუტუტებთ მაგ საცოლად. — იწყინა ქმარმა.

— მაინც რით ვატუტუტებთ, რას ვეუბნებით? — ორმაგად იწყინა სტუმარმა.

— ერთხელაც არ ურჩევთ, რომ ქმრის მორჩილი იყოს.

— სულ მაგას ვუჩიჩინებთ, მაგრამ...

— რა მჭირს შენი საჩიჩინო! — ავარდა ცოლი. — შენოდენი ქუა აგერ მაქვს, ა, ნეკის ფრჩხილში.

— გეტყობა. — ვერ მოითმინა სტუმარმა.

— რატომაც არ მეტყობა. შენ ვითომ რა გგონია. შეიძლება ისე წავეყინო ქმარს, თორემ მთელ ქალაქში ჩემსავით არც ერთ ცოლს არ ეყვარება თავისი ქმარი. ზოგიერთი მეტიხარა რომ არ ერეოდეს ჩვენს საქმეებში, ჩხუბიც არ მოგვევიდოდა.

— ბოდიში, მაშ ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა. — თქვა სტუმარმა და გზას ჩქარი ნაბიჯით გაუდგა.

ელომ შორიდან მებაძახა:

— მიბრძანდი, ბატონო, ჩემი და ჩემი ქმრის შეურაცხყოფას მამაჩემსაც ვერ დავუთმო!

შემდეგ ქმარს მიუბრუნდა, მარცხენა ლოყაზე აკოცა და ღიმილით ამოიქიკვიკა:

— კინლამ არ წაგვაჩხუბა მაგ უსინდისომ!





დღეს, ზღვის პირად, ციხისძირთან  
მზე ანათებს, როგორ თბილა!  
გოგონები, კუდრაქები,  
საუბრობენ ჩუმად, ტკბილად.

ზღვის ესერიან მოკრძალებით  
კენჭს პატარას, კენჭს უვნებელს...  
ყველაფერი გულს უხარებთ  
აგარაკზე დამსვენებლებს.

ლილის თემები გაუშლია,  
ფეხს უმშვენებს კობტა ქაში;  
ნელის პალტო წამოუსხამს,  
ლულუს — მწვანე მაკინტოში.

კამათობენ, ხან ერთმანეთს  
ცივად დაემუქრებიან.  
გოგონების ყვავილნარში  
ერთი კაციც ურევია.

იგი, ხანში შესულია,  
მიდი-მოდის ხველებითა,  
და მელოტ თავს ეფერება  
თეთრ, ფუნთუშა ხელებითა.

ზღვის კურორტის სტუმარია,  
ჩამოსულა თბილისიდან.  
მაგრამ ნეტავ გოგონები  
რა საკენკით მიიზიდა?

თურმე უთქვამს: უცოლოა,  
ცივ ოთახში წვება, დგება,  
ცხელ კერძს არვინ არ უკეთებს,  
ქვეყნად არვის ეცოდება!

ეს რად ხდება! ცრემლი მოსწყდა  
ლამენათვე ქუთუთოებს,  
ობოლია, არავინ ჰყავს,  
შარვალს არვინ უუთოებს.

შეიბრაღეს გოგონებმა,  
საუბარი გაუმართეს.  
ის კი ყველას შორით ზვერაგეს,  
როგორც მელა ხობბის მართვებს.

\*  
\* \*

ერთხელ დილით „ავად გახდა“,  
„რაღაც სენმა დაიმონა“,  
მოუტანეს გოგონებმა  
ფორთოხლები, ვარდის კონა.

გამოცოცხლდა, ან კი შეებას  
ვის არ მოგვრის ყოფნა მათთან!  
ნარინჯი და ტკბილეული  
დაულაგეს სასთუმალთან.

ნელიმ წამლის დასაღვეად  
მოუტანა კოვზი ვერცხლის,

ლილიმ კომში მოიტანა,  
ლულუმ — ვაშლი, ნუნუმ — კვერცხი.

მაგრამ უცებ, კიდევ ერთმა  
შემოაღო კარი მარდად,  
ეს ქალი მათ სად უნახავთ.  
ოთახში რად შემოვარდა?

აკვირდება ქალიშვილებს,  
ხილს, მურაბას, ნამცხვარს, ვარდებს;  
მაგრამ, ეს სულ არ აწუხებს,  
თურმე, მას სულ სხვა აღარდებს:

ამ „ავადმყოფს“, თურმე, ცოლად  
ერთი თვეა გაჰყოლია,

მაგრამ შემდეგ შეუტყვია: —  
ცოლად კიდევ სხვა ჰყოლია.


როგორ გახდა ერთი კაცი  
ათი ქალის გასაყოფი?  
ლამის მართლა ავად გახდეს,  
მთლად გაფითრდა „ავადმყოფი“.

თავში ერთად გაურბინა  
ათი ცოლის მოგონებამ...  
ზიზლითა და სიძულვილით  
მიატოვეს გოგონებმა.

ნისკარბა

მიზაზი კაეჰანისა

ნახ. დონისა



— ნუთუ ჩვენს დირექტორს ზამთრის მოახლოება არ აწუხებს?  
— როგორ არ აწუხებს, თავისი სარგო კალოში ვერ იშოვნა.



იმ დღიდან, რაც ქვეყნად სასტუმრო დაუარსებიათ, იგი დასვენების კერად არის მიჩნეული.

ახალქალაქში, ალბათ, არ მოსწონებიათ ეს შეხედულება და პირიქით გაუგიათ; არაფერს გეტყვით სასტუმროში გამეფებული უსუფთაობის შესახებ, არც კულტურულ გასართობების უქონლობაზე ვიღებ ხმას, მკბენართა თარეშსაც დუმით ვუვლი გვერდს, მაგრამ უთავბოლობას სრულიად პატარა საქმის მოგვარებაში მშვიდად არ შემოიძლია ვუმზირო.

თქვენ შეიძლება არც კი დამიჯეროთ, რომ ახალქალაქის სასტუმროს კარები ადვილად იხურება და დიდი ჭოკმანის შემდეგ იღება... (თუ როგორ იღებდნენ, ეგ სასტუმროს მუშაკთა საიდუმლოებაა). ალბათ იკითხავთ, როგორ შეიძლება კარები ადვილად იხურებოდეს და ძნელად იღებოდეს? აი როგორ!.. ახლავე მოგახსენებთ... როგორც კი მომიჩინეს სასტუმროში ერთ-ერთი ოთახი, დადლილმა მაშინათვე მივხურე კარი, გავინადე და წამოვწევი საწოლზე. მალე მოწყვეტით ჩამეძინა.

ჩვეულებაზე ადრე გამოაზღვიძეს „ბნელმა ძაღებმა“. ძილი გამიკრთა და მომეხალისა ჰაერზე გასვლა, მაგრამ თქვენს მტერს, კარები აღარ იღება. ბევრი ვუტრიალე მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ამაოდ. პატარა ჩიტვივით გაბმული აღმოვჩნდი და რაღას მიშველიდა ზედმეტი ფართხალი. გაჩერების გარდა სხვა გზა არ გამაჩნდა და მეც დავემორჩილე ჩემს ბედს. გავჩერდი და გულში უკმაყოფილოდ ჩემს თავს ვებუზღუნებოდი, რომ ამ დროს შემომესმა სასტუმროს კომენდანტის ნაცნობი ხმა დახურული კარების მეორე მხრიდან:

— ბახოვიჩ, ოი, ბახოვიჩ! დიდი ბოდიში გაუფრთხილებლობისათვის. კარები მთლად არ უნდა დაგეხურათ, მაგრამ არა უშავს,

# „სპირიტუალური“

ა ეთი შემთხვევა ჩვენთან ხშირია... ცოტა მაკალეთ, პატარა ინსტრუქტაჟს გაგიწევთ და უვნებლად გამოიხსნით თავს...

მცირე ხნის შემდეგ მან თავის სირინოზის ხმით კვლავ მომაკითხა და სხაპა-სხუპით ვეებერთელა მარშრუტი მომიხაზა:

— თქვენი ოთახის ფანჯარა გახსენით და პატარა კორიდორში გადახვალთ. კორიდორის მარჯვნივ კარებს მონახავთ. კარებს რომ შეაღებთ პირდაპირ ფანჯარა დაგხვდებათ, ფანჯარას გამოაღებთ, პატარა ნახტომს გააკეთებთ და სამშვიდობოს გამოხვალთ.

მეტი რა გზა მქონდა, გაგუდექი გზას. კარგად გათენებულყო სამშვიდობოზე რომ გამოვედი. როგორც ყოველთვის, ამჟამადაც სასტუმროში წყალი არ იყო. წავედი სასადილოში და ლუდი მოვიტხოვე. ლუდის გამოყიდვლმა თავიდან ფეხებამდე ამხედ-დამხედა, ერთხანს მომაშტერდა და როცა მეც გაკვირვებით შევაჩერე მასზე მზერა, ღიმილით მიბასუხა:—ვერ გკადრებთ, ბატონო! ჩვენი ლუდი აჭრილ ჩიხირთმასავითაა დამუჭავებულიო.

წამოვდექი და რომ ცოტა დავწყნარებულყავი ახალ ბალისაკენ გავემართე.

ძნელია გარჩევა თუ სად იწყება და სად თავდება ამ ნაბალარევის ტერიტორია... იქ არავის შეგხვედრივარ, გარდა რამდენიმე ლორისა, ღორებისა და სხვა ოთხფეხის სიმრავლემ არ გამოაცა, რადგან ახალქალაქის ბაზარზე უკვე შევეჩვიე. ამ „ბაღში“ მხოლოდ იმან გამოაცა, თუ რად ჰქვია მოუვლელ ტერიტორიას „ბაღი“.

კინოთეატრის შენობის წინ გავჩნდი. კინობისმოყვარეობამ წამძლია, დიდხანს არ მიფიქრია, შევალე კარი და დარბაზის ფოიეში ამოვეყვი თავი. თუ ფოიეში მხოლოდ კარებიდან შეიძლება შესვლა, დარბაზს გვერდებიდანაც აქვს შესასვლელი და თუ პარაშუტით ჩამოვეშვებით — კერიდანაც... ორი წელია რემონტი მიდის და დღესაც არ არის დამთავრებული. ფოიეში კი, სადაც ამჟამად უჩვენებენ სურათებს, ანტისანიტარიაა. მცხოვრებთა გადმოცემით, როცა კინოსურათის რომელიმე კადრი, სისუფთავეს უჩვენებს ან წესრიგსა და დისციპლინას ეხება, კინოთეატრის დირექტორი თარზანი კინოაპარატურისაკენ იხედება და ტუჩებში იღიმება.

რადგან ახალქალაქში ყველაზე ავტორიტეტული ტრანსპორტი ავტომანქანებია, არ შემოძლიან ისიც არ მოვიხსენიო. ახალქალაქიდან ბოგდანოვკამდე მგზავრობა ღირს 7-75 კაპ. ჩვეულებრივად ახალქალაქიდან მანქანა ვადის რამდენიმე თავისუფალი ადგილით (მგზავრებზე აღარ იყიდება ბილეთები ალბათ განგებ), როგორც კი ავტო გასცილდება ახალქალაქის მიდამოებს, შოფერის გაღაჟღაჟებულ სახეზე ღიმილი ჩნდება და მოულოდნელად მანქანაც ჩერდება ხელგაწვდილი მოქალაქეების წინ.

— შოფერ! შოფერ! შენსა მზესა!—ეხვეწებიან მგზავრები შოფერს. შოფერი ერთხანს იშმუშნება ვითომც უარზეა, მაგრამ მალე თანხმობის ნიშანს აძლევს და თან ჰაერში თითის აწევით რაღაცას ანიშნებს. ამის შემდეგ მანქანა კვლავ განაგრძობს სვლას.

კინობისმოყვარეობით შეპყრობილმა მეზობელს შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა თითის აწევა. ჩემმა მეზობელმა გაიღიმა და მიბასუხა:—ნუთუ არ იცით, რომ ჩვენში შოფერის ერთი თითის აწევა ნიშნავს 10 მანეთს, ორი თითის—20 მანეთს და ა. შ. ასეთი მარტივი ყოფილა ანგარიშწარმოება ახალქალაქში.

არღიანი

## ა. ბისკაპიჩი ბაქოში ქუჩისკვის

სვამენ, ჰამენ, ღრიალებენ, დგას ბოლი და ბუქნის მტვერი, ლამის თავზე წამოიცივან შერყეული დუქნის ჰერი. სუფრის თავში ზის ტვარდოვსკი, გაბღენძილი, როგორც ფაშა, ეჭ, რამდენი ინებიერა, ეჭ, რამდენი იფარფაშა? აი, ერთსაც შეუბღვირა, ჯარისკაცი უცებ წახდა, მოიკუნტა პანის ხმლის ქვეშ, კურდღელივით აცახცახდა. ცხვირში აჭკრა ერთ მოხელეს, ზედიზედ რომ სკლიდა ტაფას, მიახალა ოქროს ქისა, ის ფინიად იქცა სწრაფად. აი, მისწვდა მეჩქემესაც, დააყუდა ძაბრი თავზე, და ზედ კასრი დააცალა დანცინგური არყით სავსე. ისევ სუფრას მოუჯდება, ზემურად ასწევს ჰიქას,

მოიყუდებს... ვაჰ, ეს რაა? ჰიქის ძირში ხედავს ჰინკას. სტვენს და კბილებს აკრაჭუნებს, თვალ-ცბიერი, სახე-ბნელი. ცხადად ხედავს :ჰიქის ძირში ზის ნამდვილი გერმანელი. ჰინკამ ჰუდი მოიხადა, მოიფხანა ტუჩხედ ენა, ახტა-დანტა იატაკზე, ცერზე დადგა ცვროდენა. იგი ქათმის ფეხებზე დგას, აჭრიალებს ქორის ბრჭყალებს, კავს მიუგავს ციციქნა ცხვირი, მსუნაგივით ჰუტავს თვალებს: „ა, ტვარდოვსკი, გამარჯობა! სმით ატარებ წუთი-სოფელს? ველარა მცნობ შენს მეგობარს, ძველ მოვალეს, მეფისტოფელს? გახსოვს ჩვენი შეთანხმება, რომ დავდევით სუფრის მერე. ეშმაკების თანდასწრებით ხარის ტყავზე რომ დავწერეთ? შენ დაგვპირდი: გაივლიდა

ორი წელი, დრო სულ დიდი, მოხვიდოდი რომში მარტო, იქ ეშმაკებს სულს მიჰყიდდი. მაგრამ სიტყვა დაარღვიე, გაიარა შეიძმა წელმა, გაურბოდი ყველგან სიკვდილს, აქ მოვისწრო მისმა ცელმა. მორჩა! მახეს გაბმული ხარ, ეს დუქანი გახლავთ „რომი“, გვეო ჩვენი ვაჭბილება“. — ეუბნება ჰინკა წყრომით. პანი შეკრთა, გადაესხა შუბლზე სიმწრის დელგმა ცხელი, გაიწია, ამ დროს ჰინკამ მხნედ ჩასკიდა კალთას ხელი. რა ჰქნას? სიკვდილს რომ გაექცეს, იგი ხვალ-ზეგ მაინც მოვა, გამოსავალ ხერხს დაეძებს და ეს ხერხი უცებ ჰპოვა. „კარგი!—უთხრა,—ზედმა მსაჯოს, როგორც წესი და ჯერია, მხოლოდ ტყავი გადაშალე, შიგ ჩახედე რა სწერია:



ახსანავო ნიანგო

სამ წელზე მეტია, რაც მდინარე ჯუმის-წყალზე დაინგრა ხიდი, რომელიც ჩხორა-წყუ-წალენჯიხის რაიონებს აკავშირებდა. ხიდის დანგრევის გამო კავშირი აღნიშნულ რაიონებს შორის, რასაკვირველია, არ შეწყვეტილა, მაგრამ წარმოიდგინეთ რა სახარბიელო იქნება ახლანდელ ყინვაში წყალში გატოპვა, რაც ზაფხულობით სიამოვნებასაც კი ჰგვრის დაღლილ, სიცხისგან გათანგულ კაცს.

აქეთ ხმები დადის, თითქოს ხიდის შეკეთება მანამდე შეუძლებელი იყოს, ვიდრე ორჯონიკიძის სასოფლო საბჭოს მუშაკებს ამ სიცივეში წყალში არ ჩააყენებენ, ან ვიდრე ეს უკანასკნელი თვითონ არ შეუდგება მათო. სწორია ეს ხმები, ამხ. ნიანგო, თუ არა?

წალენჯიხელი ბიბი

პატივცემულ ნიანგო!

აღბათ თქვენს ყურამდე მოაღწევდა ის ამბავი, რომ მუხიანის წისქვილებს ბაბუნაშვილები დაეპატრონენ. ერთ წისქვილს დავით ბაბუნაშვილი განაგებს, მეორეს ვიქტორ ბაბუნაშვილი, ხოლო მესამეს—ლადო ბაბუნაშვილი. არ ვიცი თქვენ იმის ბრალია, რომ სამივეს ერთი გვარის კაცი მეთვალყურეობს, თუ სხვა რამ მიზეზი არსებობს—წისქვილები ყველა ერთნაირად დაკეტილია და დიდი ლოდინი გვკირდება, რომ რომელიმე ბაბუნაშვილს მივაგნოთ, თუ შემთხვევა შეგვეწია და რომელიმე ბაბუნაშვილის წისქვილს საფქვავე დავაყარეთ, ენა კბილებით მაგრად უნდა გადაგვეტოთ, არ უნდა წამოგვეცდეს,

რომ მეწისქვილემ ზედმეტი მინდი აიღო, ან სიმინდი მსხვილად დაგვიფქვა, თორემ მეორედ საბაბუნაშვილოში საფქვავეს მიტანა გვეკრძალება.

ერთი გვაკვირვებს და იქნებ აგვიხსნათ, პატივცემულო ნიანგო, მეწისქვილეები თუ გვარის გავლენით სამი წვეთი წყალივით ერთმანეთს ჰგვანან, წისქვილების მთავარი კონტროლიორი ხომ გვარად საგანელიძეა და სახელადაც არა ლადო, დავითი ან ვიქტორი, არამედ მიხეილი ჰქვია, ისიც რატომ არის ყოველთვის ბაბუნაშვილურ ხასიათზე?

სხვა ბაბუნაშვილი

საყვარელო ნიანგო!

დიდი ლოდინის შემდეგ როგორც იყო დიდუბის მცხოვრებლებს ელირსათ ყოფილი კინოთეატრის გახსნა, მაგრამ ავერ მესამე თვეა, რაც კინოთეატრი მუშაობს და ჯერ არ ყოფილა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ მაყურებელს მთლიანად ენახოს სურათი. ან ნახევარს აჩვენებენ, ან მესამედს და ხშირად მაყურებლებს კინოფილმის უნახავადაც გაუშვებენ ხოლმე უკან შუქის უქონლობის მომიზეზებით. ამავე დროს კინოს შენობაში კვლავ არის დარჩენილი ცხენების თავლა, საიდანაც „საამური“ სუნი გამოდის და ავსებს ნაწყვეტ-ნაგლეჯი ფილმიდან მიღებულ „სიამოვნებას.“

მოწიწებით გთხოვთ, საყვარელო ნიანგო, კინომრეწველობის მესვეურებს შეატყობინოთ, რომ ჩვენს რაიონში არსებობს კინოთეატრი; სთხოვთ გამოიარონ ჩვენთან და დატკბნენ ჩვენებური საყნოს-სანახავით.

კირ. საფირჩხიელი



თავში—ხაფანგს ჩვენ გვიგებენ და ნამდვილად კი ამათთვის არის ხაფანგი საჭირო.

ჩანგალი დახმარა

„ნიანგის“ № 19-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია სათაურით „ვერ მიხედა“, რომელიც ეხებოდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონში შემავალ ფალიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობლობას.

როგორც თბილისის მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს, მიღებულია ზომები ფალიაშვილის ქუჩის კეთილმოწყობისათვის.

აი, ხედავ, დუქნის ნიშანს, ზედ ცხენია დახატული, მსურს მინდორზე გავაჭვნო რაშის დარად დარახტული. სანამ, სულთა-მშუთავივით დამახრჩობდეს შავი ღამე, მაჭეს უფლება,—სიკვდილის წინ დაგავალო სამი რამე: ქვიშისაგან მათრახს დაწნავ, რომ გაცოფდეს მისგან რაში, სადმე, ტყის პირ, სახლს ამიგებ,— დავისვენო მგზავრმა გზაში. იგი, თბილის გულისაგან, უნდა შექმნას შენმა ხურომ, მთა-კარპატზე უშაღლესი, ვარდის თესლით გაღაბუროს. ამ უცნაურ მოთხოვნაზე გელიმება, როგორც ვხედავ,— ყოველ თესლში, სამ-სამ ცალად ყავრის ლურსმანს ჩააჭედავთ“. დატრიალდა უცებ ტინკა, აშრილდნენ უცებ ხენი, წამს გაისმა თქარა-თქური,

და დუქნის წინ გაჩნდა ცხენი. ცხენს მოახტა პან ტვარდოვსკი, ფრთა შეისხა სატიალემ, მგზავრი თითქოს ქარს მიადურენს, ქვიშის მათრახს ატრიალებს. ნაგანგებოდ აგებული, აჰა, სახლიც დახვდა ტყეში, ძირს ჩამოხტა, ბჭე შეაღო. ტინკაც შეჭყვა სასახლეში. პანმა უთხრა: „პირველს მოვრჩით, ეს ფინჯანი ვცადოთ ახლა, იბანავე ამ ფინჯანში, შიგ ნაკურთხი წყალი გახლავთ.“ ტინკა ჩახტა, (დაპირების შესრულება არის წესი), უჰ, ეს რაა, უჰ, როგორ სწვავს წყალი ცხელზე უცხელესი? დაიკლაკნა, დაიღრიჯა, წარა-მარა მისდის გული, ვერ გაუძლო ცხელ აბანოს, ამოვარდა გათუთქული. „ჯერ სადა ხარ!“ პანი ეტყვის,— ეს მესამე გიხსნის, მგონი“.—

უცებ კარში გამოჩნდება პან ტვარდოვსკის ქალბატონი.

„გაიცანი, ცოლი გახლავთ, ამ სასახლეს ეშხით ათრობს, მე შენს ბუნავს მივაშურებ, შენ ამასთან დარჩი მარტოდა.“

ვალერსე, ემსახურე, ვადა იყოს ერთი წელი, თუ პირობა დაარღვიე, შენც აიღე ჩემზე ხელი“.

მაგრამ ტინკა მას არ უსმენს. შიშმა თვალი დაუბნელა, აღმაცერად ქალს გაჰყურებს, იბარება ნელა-ნელა.

ამ დროს პანმა გზა მოუჭრა, და კეფაში ხელი დაჭრა, ტინკამ ერთი დაიჭყვილა და კარების ხერხეში გაჭქრა.


თარგმნა ალიო მირცხულავაძე

საკრედიტო კოლეგია: გრ. აბაშიძე (პ. მგ. რედაქტორი), აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უ. ჯაფარიძე, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი (პ. მგ. რედაქტორის მოადგილე), ს. ფაშალიშვილი.

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-10-49.


ხელმოწ. დასაბ. 1949 წ. 18/XI. ტექსტი აწყობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, შუკ. № 1473. ლენინის ქ. № 14. დაბეჭდილია სტამბა „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტმანქანაზე, შუკ. № 2415. თბილისი, რუსთაველის გ. ამხ. № 42. გამოც. № 121. ტირ. 11000 უე 04492.





ნახ. ა. ბანძელაძისა

ქვეყნის  
სახელმწიფო



ანტიურ მანდაკობებს შორის

— ჩვენ უკეთეს მდგომარეობაში ვართ ახლანდელ ბერძნებთან შედარებით, ჩვენ მკლავები და ფეხები გვაქვს მომტვრეული მაგათ კი დასახინჩრებასაც არ აკმაყოფილებენ და შირდაპირ თოკებზე ჰკიდებენ.